# ოქმი N 11

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომისა

ქ. ხობი

2018 წლის 20 დეკემბერი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. ვლადიმერ ქანთარია
2. ნიკოლოზ ვეკუა
3. იგორ გოგოლაძე
4. გოჩა ჯობავა
5. გენადი ქაძანაია
6. აკაკი ხურცილავა
7. შადიმან ჭილაია
8. კონსტანტინე ნასარაია
9. კახა ლატარია
10. დავით ცინაძე
11. რამინ ხილაძე

სხდომას თავმჯდომარეობდა ვ. ქანთარია - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2018 წლის 19 დეკემბრის N06/5020 წერილის განხილვა („საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2019 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე)

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე)

2. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2018 წლის 19 დეკემბრის N03/5027 წერილის განხილვა:

- „აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტების კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „სამეგრელო-ზემო სვანეთის ტურიზმის მართვის ცენტრი“ ერთობლივად დაფუძნების თაობაზე გადაწყვეტილების მიზანშეწონილობაზე

ხობის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის N43 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ განკარგულების პროექტის შესახებ;

- „აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტების კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „სამეგრელო-ზემო სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია“ ერთობლივად დაფუძნების თაობაზე გადაწყვეტილების მიზანშეწონილობაზე ხობის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე.

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყრება დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე - 11, წინააღმდეგი - არც ერთი**

**დაადგინეს:** დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

**დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების განხილვა**

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2018 წლის 19 დეკემბრის N06/5020 წერილის განხილვა („საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2019 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე)

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე)

**მოისმინეს: ვ. ქანთარია** - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2019 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ“ და განაცხადა, რომ აღნიშნული პროექტის მომზადების სამართლებრივი საფუძვლებია: საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილება.

კომისიის წევრების მიერ ერთობლივად განხილულ იქნა წარმოდგენილი პროექტი, შენიშვნები და განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა.

კომისიის თავმჯდომარე შემოვიდა წინადადებით, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას.

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე -11, წინააღმდეგი - არც ერთი.**

**დაადგინეს:** წარმოდგენილი განკარგულების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას.

**2.** ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2018 წლის 19 დეკემბრის N03/5027 წერილის განხილვა:

- „აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტების კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „სამეგრელო-ზემო სვანეთის ტურიზმის მართვის ცენტრი" ერთობილვად დაფუძნების თაობაზე გადაწყვეტილების მიზანშეწონილობაზე ხობის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის N43 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე" განკარგულების პროექტის შესახებ;
- „აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტების კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „სამეგრელო-ზემო სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია" ერთობილვად დაფუძნების თაობაზე გადაწყვეტილების მიზანშეწონილობაზე ხობის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე.

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე)

**მოისმინეს:** მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტების კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „სამეგრელო-ზემო სვანეთის ტურიზმის მართვის ცენტრი" ერთობილვად დაფუძნების თაობაზე გადაწყვეტილების მიზანშეწონილობაზე ხობის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის N43 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე" და ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ ახალი განკარგულების პროექტი, სადაც ტურიზმის მართვის ცენტრი შეცვლილია „აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს,

წალენჯიხის, ხობისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტების კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „სამეგრელო-ზემო სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციად“.

განკარგულების პროექტის განხილვის შემდეგ კომისიის წევრების მხრიდან საწინააღმდეგო აზრი არ გამოთქმულა. აღინიშნა, რომ განკარგულების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და მიზანშეწონილია მისი გატანა საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

კომისიის თავმჯდომარე შემოვიდა წინადადებით, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე -11, წინააღმდეგი - არც ერთი**

**დაადგინეს:** წარმოდგენილი განკარგულების პროექტები წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ვლადიმერ ქანთარია